საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა

პირველი წელი

ვქმნით შესაძლებლობებს

2020 // სენბი

დეკემბერი 2020

გენერალური დირექტორის მიმართვა

ირინა მილორავა

ძვირფასო მკითხველო,

მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს მოგესალმოთ საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის სახელით და წარმოგიდგინოთ ჩვენი გუნდის საქმიანობის ერთი წლის ანგარიში, მიღწევები და გამოწვევები.
ენერგეტიკულ ბირჟას განსაკუთრებული როლი ეკისრება საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე რეფორმებში და ბაზრის ახალ მოდელში. ეს არის ბაზრის სეგმენტი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ბაზრის მონაწილეებს, კონკურენტულ საწყისებზე, არადისკრიმინაციული პირობებით ივაჭრონ ელექტროენერგიით. ელექტროენერგიაზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების თანხვედრის შედეგად ბირჟაზე ჩამოყალიბებული საბაზრო ფასი სწორ სიგნალს მისცემს როგორც არსებულ, ასევე ახალ ინვესტორებს და, იმედი გვაქვს, მნიშვნელოვნად გაზრდის ინტერესს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მიმართ.
ბუნებრივია, ამ გამოწვევების ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბირჟის სანდოობა - გამართული ტექნიკური პლატფორმა ვაჭრობისთვის, რომელიც იმუშავებს ეფექტიანად, ხარვეზების გარეშე და სადაც ფასი გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩამოყალიბდება. ამ გამოწვევას ჯერ კიდევ მაშინ გაეცა პასუხი, როდესაც ენერგეტიკული ბირჟის პარტნიორად უძველესი ევროპული ენერგეტიკული ბირჟა- ნორდ პული იქნა შერჩეული. ნორდ პულის გამოცდილება და რეპუტაცია მკაფიო გზავნილია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორებისათვის და მნიშვნელოვანი წინაპირობაა ბაზრის რეფორმის წარმატებისთვის.
ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ბირჟის მონაწილეების ცოდნა და ინფორმირებულობაა - ბაზარი ვერ იფუნქციონირებს ეფექტიანად, თუ მონაწილეები არ იქნებიან მზად ბაზარზე ვაჭრობისათვის.
.გასული ერთი წლის განმავლობაში მთავარი აქცენტი სწორედ ბაზრის მოქმედი და პოტენციური მონაწილეების პროცესში მაქსიმალურ ჩართულობაზე გაკეთდა - ჩვენი კონსულტანტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით გაიმართა არაერთი ტრენინგი როგორც ბაზრის ფუნქციონირების თეორიულ, ასევე პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით. ვაჭრობის სატესტო პლატფორმაზე მონაწილეების რეგისტრაციამ კი საშუალება მისცა მათ, უშუალოდ გაცნობოდნენ პლატფორმის ფუნქციონირებას და დაეწყოთ ვაჭრობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარება.
აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ამ ერთი წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ბირჟის ჩამოყალიბებისა და ჩვენ წინაშე მდგარი გამოწვევების გადაჭრის პროცესში - ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ენერგეტიკის პროგრამას - მათი მხარდაჭერით, კონკრეტული პროექტების, რეკომენდაციებისა და ამ პროექტებიდან მიღებული გამოცდილების გამოყენებით, ჩვენ შევძლებთ დავამკვიდროთ ეფექტიანი და გამჭვირვალე ორგანიზებული ბაზარი და ამ გზით ხელი შევუწყოთ ენერგეტიკისა სექტორის განვითარებასა და მდგრადი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას.
განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო რეფორმაში ჩართულ ბაზრის როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ მონაწილეებს. რომ არა მათი მაღალი ინტერესი და აქტიური ჩართულობა, ეს ეტაპი წარმატებული ვერ იქნებოდა. თქვენი ყველა მოსაზრება, კომენტარი, კითხვა გვეხმარება, რომ ობიექტურად და სრულყოფილად შევაფასოთ ყოველი მომდევნო ნაბიჯი და სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ. იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც გავაგრძელებთ ნაყოფიერ თანამშრომლობას.

დიდ მადლობას გიხდით თქვენი ინტერესისთვის.
ჩვენ ვქმნით შესაძლებლობებს!

ჩვენ
დღეს

ჩვენ შესახებ

დაფუძნდა 2019 წლის 4 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფო ლექტროსისტემისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის 50-50%-იანი თანამონაწილეობით.

დღით ადრე და დღიური ბაზრების (ბირჟის) ლიცენზირებული ოპერატორი 2020 წლის 28 მაისიდან.

ძირითადი ფუნქციები

- დღით ადრე ბაზრის ოპერირება
- დღიური ბაზრის ოპერირება
- ორმხრივი ხელშეკრულებების (ფორვარდული) ბაზრის ოპერირება
- დღით ადრე და დღიური ბაზრებისთვის ანგარიშსწორების სისტემის მართვა

მისია

ელექტროენერგიის ბაზრის ეფექტიანი ოპერირებით, გამჭვირვალე და კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფა და სწორი საფასო სიგნალების მიწოდება ბაზრის არსებული და პოტენციური მონაწილეებისათვის

ხედვა

საქართველოს ბირჟა არის ელექტროენერგიით ვაჭრობის ადგილი არა მხოლოდ საქართველოს ბაზარზე მიწოდების მიზნით, არამედ წარმოადგენს რეგიონულ ჰაბს, რომელიც გამოიყენება დაკავშირებული ბაზრების მონაწილეების მიერ ტრანსასასაზღვრო ვაჭრობისათვის

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორის მოადგილე

ირაკლი გალდავას აქვს 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება ენერგეტიკის სექტორში. ირაკლი ფლობს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ეკონომიკის (ენერგოეკონომიკის მიმართულება) მაგისტრის ხარისხს. მისი კარიერა ენერგეტიკის სექტორში დაიწყო ISET-ის კვლევით ინსტიტუტში 2011 წელს, სადაც ის მუშაობს მკვლევარად ენერგეტიკის საკითხებში. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში გატარებული 6 წლამდე პერიოდის შემდეგ ირაკლი შემოუერთდა საქართველოს ენერგეტიკული ბირჟას. პრაქტიკული საქმიანობის გარდა, ირაკლი ატარებდა ლექციებსა და ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით და არის ავტორი სახელმძღვანელოებისა და სტატიების ენერგეტიკის დარგში. უწევდა რა ენერგეტიკის სექტორის, მათ შორის ენერგეტიკული ბაზრების, შეფასება სხვადასხვა კუთხით, ირაკლიმ შეიძინა მრავალმხრივი ცოდნა და გამოცდილება როგორც ენერგეტიკის, ასევე ეკონომის სხვა სექტორების შესახებ.

ეკა ლოლუა
საგარეო საქმეთა მდივანი

ეკა ლოლუა ფლობს კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიურ ხარისხებს სამართალმცოდნეობაში. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სწავლობდა ევროპული სწავლების უნივერსიტეტსა და ფედერალიზმის სწავლების ცენტრში (UIES, იტალია), ბრიუსელის ვრიჯეს უნივერსიტეტში (VUB, ბელგია), ევროპის საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტში (EIPA, ლუქსემბურგი), ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯში (ESDC) და HarvardX პროგრამაზე.
ეკა ლოლუას აქვს მუშაობის 8 წლიანი გამოცდილება, მათ შორის, სხვადასხვა დროს მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოში, საერთაშორისო სავაჭრო პალატაში (ICC), 2016-2018 წწ. იკავებდა შინაგან საქმეთა სამინისტროში ევროინტეგრაციის განყოფილების უფროსის პოზიციას.
2018 წლიდან შპს ენერგოტრანსში იყო იურიდიული მრჩეველი საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის ფორმირების პროექტში, 2019-2020 წწ. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში იურისტის პოზიციაზე და მონაწილეობდა ელექტრო ენერგეტიკული ბაზრის რეფორმირების პროცესში. სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობისას, ეკა ლოლუა ჩართული იყო ევროკავშირისა და აშშ-ს მიერ დაფინანსებული პროექტების მართვაში.

თამარ ბარსონიძე
მთავარი იურისტი

თამარ ბარსონიძეს აქვს ენერგეტიკის სექტორში მუშაობის 4 წლიანი გამოცდილება. თამარი ფლობს სამართლის მაგისტრის ხარისხს - სასექსის უნივერსიტეტისგან (ბრაიტონი, გაერთიანებული სამეფო) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან (თბილისი, საქართველო). თამარმა ენერგეტიკის სექტორში კარიერა დაიწყო საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში, სადაც ის 3 წლის განმავლობაში მუშაობდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო რეგულირების უწყვეტი გაუმჯობესებისათვის საჭირო პროექტების შემუშავება და კომისიისთვის წარდგენა. თამარს ასევე აქვს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება, რა დროსაც ის ამზადებდა ძირითადი საკანონმდებლო აქტების პროექტებს, ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეფორმების მხარდასაჭერად.



ლევან გაჩეჩილაძე
ფინანსური მენეჯერი

ლევან გაჩეჩილაძემ წარჩინებით დაამთავრა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები რაოდენობრივი ფინანსების (Quantitative Finance) მიმართულებით. სწავლის დასრულებისთანავე ლევანი შეუერთდა უნივერსიტეტს ბიზნეს სკოლას დეკანის ასისტენტის პოზიციაზე. დღეს ის GAU-ს მოწვეული ლექტორია.მისი პროფესიული კარიერა დაიწყო ფინანსური ანალიტიკოსის პოზიციაზე სესხების მართვის კომპანიაში. შემდეგ, ის მუშაობდა საქართველოს ცენტრალური ბანკის ფინანსურ დეპარტამენტში; ასევე, იკავებდა საერთაშორისო ტურ ოპერატორის ფინანსური მენეჯერის პოზიციას. მოგვიანებით, ლევანი შეუერთდა საქართველოს ბანკის ფინანსურ დეპარტამენტს ფინანსურ ანალიტიკოსად; იყო ასევე ფინანსური კონსულტანტი საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში.იგი ასევე მუშაობს რაოდენობრივი ანალიტიკოსია ნიუ-იორკში დაფუძნებულ ჰეჯ-ფონდში

გუგა კუპრაძე
ბაზრის ტექნიკური ოპერატორი

გუგა კუპრაძე 2020 წლის იანვარში შემოუერთდა საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის გუნდს და ამჟამად იკავებს ბაზრის ტექნიკური ოპერატორის პოზიციას. გუგა ამჟამად სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია. 2016-2017 გახდა მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამის (FLEX)-ის ფინალისტი და ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ა.შ.შ-ში ცხოვრების დროს, სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისთვის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისგან დაჯილდოვდა სპეციალური სიგელით. საქართველოში დაბრუნებისა და უნივერსიტეტში წარმატებით ჩაბარების შემდეგ, მიიღო ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დაფინანსება და წარჩინებული აკადემიური მოსწრებისთვის რამდენჯერმე გახდა პრეზიდენტის სტიპენდიანტი. 2018 წელს მონაწილეობდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ ორგანიზებულ პროექტში, „Eurasia FLEX-Ability," (ვილნიუსი, ლიეტუვა). უკვე ზედიზედ ოთხი წელია გუგა უნივერსიტეტის დეკანის სიის წევრია და წარჩინებული სწავლისთვის საშუალება მიეცა ემუშავა ლექტორის ასისტენტის პოზიციაზე, კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით. 2019-2020 წლებში გახდა HarvardX-ის, DelftX-ისა და აზიის განვითარების ბანკის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ენერგეტიკული ბაზრების, ენერგოპოლიტიკისა და ენერგოეკონომიკის მიმართულებით.

ნათია ბარნოვი
ბუღალტერი

ნათია ბარნოვი 2019 წლის დეკემბერში შემოუერთდა საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის გუნდს და იკავებს ბუღალტრის პოზიციას, რაც გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას, საგადასახადო შესაბამისობის თანახმად დეკლარაციებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში წარდგენას. ნათიამ 1997 წელს დაამთავრა თბილისის საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი და აქვს 20 წლიანი მუშაობის გამოცდილება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე კერძო ბიზნესის სექტორში. 2009-2018 წლის განმავლობაში იგი იკავებდა მთავარი სპეციალისტის პოზიციას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტში. ნათია იყო ბუღალტერი სამინისტროს სისტემაში შემავალი საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში. 2019 წლის განმავლობაში ენერგეტიკული ბირჟის გუნდთან შემოერთებამდე, იგი იკავებდა ბუღალტრის პოზიციას სსიპ ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. ნათიას გავლილი აქვს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფი) საგანმანათლებლო სრული პროგრამა და სერთიფიცირებულია მთავარი ბუღალტრის სერთიფიკატით.

ელექტროენერგიის ბაზრის მოდელი

სამიზნე მოდელი

თავისუფალი ბაზარი, სადაც მონაწილეები სარგებლობენ თანასწორი, არადისკრიმინაციული პირობებით და სადაც გამჭვირვალედ ყალიბდება კონკურენტული ფასი, რაც მომხმარებელს აძლევს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

ელექტროენერგიის ბაზრის კონცეფცია

2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფცია. დოკუმენტი აწესებს ელექტროენერგიით ვაჭრობაში შემდეგ ნოვაციურ პრინციპებს:

- საათობრივი ვაჭრობა და თვითდისპეტჩირება
- უბალანსობაზე პასუხისმგებლობა
- საბითუმო საჯარო მომსახურება

ელექტროენერგიის ბაზრის კონცეფცია ასევე ადგენს ბაზრის გახსნის ეტაპებს, განსაზღვრავს ბაზრის სეგმენტებს და ბაზრის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს.

ბაზრის ახალი მოდელი



ელექტროენერგიით ვაჭრობის რეგულირება ბირჟაზე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2020 წლის 11 აგვისტოს N46 დადგენილებით დაამტკიცა ბაზრის წესები, რომელიც მოიცავს:

- ბირჟის მიერ წარდგენილ დღით ადრე და დღიური ბაზრების წესებს;
- საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის ოპერატორის მიერ წარდგენილ საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესებს

„დღით ადრე და დღიური ბაზრების წესებით“ დეტალურად არის განსაზღვრული ელექტროენერგიის ბირჟაზე ვაჭრობის ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი: ბირჟაზე მონაწილის დაშვება, განაცხადის განთავსება, ფასწარმოქმნა, ფინანსური ანგარიშსწორება და სხვა.

პროექტზე მუშაობისას, ბირჟამ შექმნა ბაზრის წესების პროექტის განხილვის ელექტრონული პლატფორმა, სადაც დაინტერესებულ მხარეს შეეძლოთ წარედგინათ მოსაზრებები. ამავე პლატფორმაზე ქვეყნდებოდა ბირჟის ოპერატორის პასუხი ყველა მიღებულ მოსაზრებაზე.

პარალელურად, ბირჟა ელექტრონული ფოსტით იღებდა მონაწილეებისგან შენიშვნებს და, შესაბამისად, აახლებდა პროექტს, ხოლო კითხვებზე მონაწილეებს უგზავნიდა განმარტებებს.ბირჟამ მარეგულირებელ კომისიას დასამტკიცებლად წარუდგინა განხილვების შედეგად განახლებული პროექტი, რომელშიც დაინტერესებული პირების შენიშვნები იყო ასახული.

ბირჟა კვლავ გააგრძელებს მუშაობას ბაზრის წესების უწყვეტი განვითარებისთვის და კომისიას პერიოდულად წარუდგენს ცვლილებების პროექტს, რომელიც ყოველთვის ბაზრის მონაწილეთა ჩართულობით იქნება მომზადებული.

საერთაშორისო თანამშრომლობა

ენერგეტიკულ ბირჟას კონსულტაციას უწევს და დღით ადრე და დღიური ბაზრების დანერგვა-ფუნქციონირებას, მათ შორის სავაჭრო პლატფორმის გამართვას, უზრუნველყოფს ნორდ პულ კონსალტინგი და ნორდ პული.

ნორდ პული წარმოადგენს მსოფლიოში პირველ ენერგეტიკულ ბირჟას 1993 წლიდან, მისი მოსარგებლეებისთვის შეთავაზებული ენერგეტიკული ბაზრების მართვის 25 წელზე მეტი გამოცდილება ეფუძნება მოქნილობას, გამჭვირვალობასა და ინოვაციურობას.
დღეისათვის ნორდ პული ოპერირებას უწევს როგორც დღით ადრე, ასევე დღიურ ბაზრებს, მოსარგებლეებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშსწორებისა და შესაბამისობის სერვისებით. 20 ქვეყნის 360-ზე მეტი მოსარგებლე ვაჭრობს ნორდ პულის ბაზრებზე. დღეისათვის კომპანია ოპერირებს 16 ევროპულ ქვეყანაში და წარმოადგენს ბულგარეთისა და ხორვატიის მომსახურე ბაზარს. 2019 წლისთვის ნორდ პულის ბაზარზე ელექტროენერგიის ჯამურმა ბრუნვამ შეადგინა 494 ტერავატი საათში.
ოფისები განლაგებულია ოსლოში, სტოკჰოლმში, ჰელსინკში, ტალინში, ლონდონსა და ბერლინში.

ნორდ პულთან ქართული მხარის თანამშრომლობა დაიწყო 2018 წელს, საქართველოს ენერგეტიკისა და მდგრადი განითარების სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას, ნორდ პულ კონსალტინგსა და ბლუბერის შორის არსებული მემორანდუმის, ხოლო, შემდგომ, სსე-სა და ნორდ პულ კონსალტინგს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში.

ნორდ პულის ბაზრები



CLICK HERE

ნორდ პულ კონსალგტინგი



CLICK HERE

NORD POOL

საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, ასევე კომისიასთან და რეფორმაში ჩართულ სხვა უწყებებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს წარმოებული განხილვების პროცესში, რომელიც მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე რეფორმის მიმდინარეობის გაცნობას, ხოლო მეორე მხრივ, კონსულტაციის მიღებას ევროკავშირის ენერგეტიკის მარეგულირებელ საკანონმდებლო ჩარჩოსთან კონცეფციის შესაბამისობაზე და საქართველო-ევროპის ენერგეტიკული ბაზრების მოდელების მაქსიმალურ დაახლოებაზე, საქართველოსთვის არსებული სპეციფიკური გამოწვევების გათვალისწინებით.

დღით ადრე-დღიური და საბალანსო-დამხმარე მომსახურებების ბაზრების სინქრონულად დანერგვისა და ჰარმონიულად ოპერირების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა ასევე აქტიურად თანამშრომლობს გერმანულ საკონსულტაციო კომპანიასთან OMNIA და საქართველოში საბალანსო ბაზრის პროგრამულ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ კომპანიასთან SIEMENS და მის ქვე კონტრაქტორთან SMARTTECH, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან არსებული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში.

ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის დანერგვისა და ბაზრის მონაწილეებისთვის ვაჭრობის შესაძლებლობების განვითარების/ გაზრდის კუთხით, საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა აქტიურად თანამშრომლობდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ენერგეტიკის პროგრამასთან.

დამატებითი ინფორმაციისთვის დააკლიკეთ ლოგოებზე

დღით ადრე ბაზრის სიმულაცია

გეგმა

2020 წლის 1 ივლისიდან ოფიციალურად დაიწყო დღით ადრე ბაზრის სიმულაციური რეჟიმი.

დღით ადრე ბაზრის სატესტო რეჟიმის გეგმით გათვალისწინებულია:

- **ტრენინგები** - ტრენინგების მიზანია მონაწილეებს მიაწოდოს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნე ბირჟაზე ვაჭრობისათვის. მონაწილეთა ცოდნა უმნიშვნლოვანესია, რადგან ერთი მონაწილის გაუთვითცობიერებლმა ქმედებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბაზარზე.

- **სატესტო ვაჭრობა** - სატესტო ვაჭრობის მიზნით მონაწილეებს აქვთ დაშვება სატესტო სავაჭრო პლატფორმაზე.

- **ტესტირება** - ელექტროენერგიის ბაზრის წესების მიხედვით, მონაწილის სავაჭრო წარმომადგენელს გავლილი უნდა ჰქონდეს სენბის მიერ ორგანიზებული საკვალიფიკაციო გამოცდა.

სიმულაციის საწყისი ეტაპი განსაკუთრებით დატვირთული იყო დღით ადრე ბაზრის სიმულაციაში რეგისტრირებული მონაწილეებისთვის ტრენინგების ორგანიზებითა და განხორციელებით.

თითოეულ სესიაში მონაწილეობდა 60-ზე მეტი კომპანიის, მათ შორის გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების, წარმოებისა და მოხმარების საწარმოების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები, ჯამში 100-ზე მეტი მონაწილე.

აქტივობები

ბირჟამ უზრუნველყო ათზე მეტი ტრენინგის ორგანიზება და ჩატარება განსხვავებულ თემებზე, მათ შორის:

- ელექტროენერგიით ვაჭრობის ეკონომიკური საფუძველი
- ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრები
- საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის რეფორმა
- ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ზოგადი კონცეფციის შეჯამება
- საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის (GENEX) ბაზრები
- ელექტროენერგიის ბირჟის სამართელბრივი ჩარჩო
- მომსახურე ბაზრების კონცეფცია და ნორდ პულის სავაჭრო პლატფორმა
- დღით ადრე ბაზრის აუქციონის პლატფორმის და ანგარიშსწორების პლატფორმის სადემონსტრაციო ტრენინგი (Live demo)
- დღით ადრე ბაზარზე განაცხადები, მრუდების აგრეგირება, და პორტფელის მართვა
- ბაზრის მონაწილედ რეგისტრაცია
- წყლის რესურსების შეფასება და მართვა

ტრენინგები წარიმართა ნორდ პულ კონსალტინგის ექსპერტების და სენბის თანამშრომელთა ჩართულობით, ტრენინგების ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული ნაწილი ჩატარდა USAID-ის ენერგეტიკული პროგრამის დახმარებითა და კოორდინაციით. წყლის შეფასების საკითხზე სესია ჩაატარა ენერგეტიკისა და წყლის საკითხებში ნორვეგიის მარეგულირებელი ორგანოს (NVE) ექსპერტმა.

2020 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟამ დღით ადრე ბაზრის სატესტო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველი პირები ნორდ პულის სავაჭრო პლატფორმაში დაარეგისტრირა და შექმნა პირველი სავაჭრო პორტფელები.

გაიმართა დღით ადრე ბაზარზე სატესტო ვაჭრობის სამი სესია. სამივე შემთხვევაში, სესიები მიმდინარეობდა USAD-ის ენერგეტიკის პროგრამასთან ერთად ორგანიზებული ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის ტრენინგების პარალელურად. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, ერთდროულად ევაჭრათ სატესტო ვაჭრობის როგორც გრძელვადიანი ხელშეკრულებებით, ასევე დღით ადრე ბაზარზე მათი პოზიციის დაბალანსების მიზნით.

შედეგები







შეხვედრებისა და სესიების დასრულების შემდეგ, შემოწმდა ტრენინგებში მონაწილე პირების ცოდნის ხარისხი არასავალდებულო ტესტირების მოწყობით. ჯამში, ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო 78 პირმა, ტესტირების მიზანს წარმოადგენდა მონაწილეთა ცოდნის შესახებ ინფორმაციის მიღება და, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იმ საკითხების განსაზღვრა, რომელზეც დამატებითი შეხვედრები დაიგეგმა. გარდა ამისა, ამ გზით მონაწილეებს გაეცნოთ ბაზრის წესებით გათვალისწინებული სავალდებულო ტესტირების საორიენტაციო შინაარსი და ფორმატი.

საქართველოს ენერგეტიკულ ბირჟას სატესტო ვაჭრობაში მონაწილეობის სურვილით სულ 73 კომპანიამ და ფიზიკურმა პირმა მიმართა. მსურველებს შორის არიან როგორც ბაზრის მოქმედი მონაწილეები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები.

სატესტო სავაჭრო პორტფელებმა სიმულაციური ბაზრის მონაწილეებს საწყის ეტაპზე შესაძლებლობა მისცა უშუალოდ გაეცნონ ნორდ პულის სავაჭრო პლატფორმას, განსაზღვრონ სავაჭრო სტრატეგია და გააკეთონ ელექტროენერგიის ყიდვისა და გაყიდვის განაცხადები.

დღითით ადრე და დღიური ბაზრისთვის გამჭვირვალე და სანდო ფინანსური ანგარიშსწორების სისტემის დანერგვისა და შემდგომი ფუნქციონირების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟამ გამართა შეხვედრები როგორც საქართველოში მომუშავე წამყვან კომერციულ ბანკებთან, ასევე საქართველოს საბანკო ასოციაციასთან და ასოციაციის წევრი ბანკების წარმომადგენელებთან. შეხვედრები დაეთმო ბირჟასა და ბანკებს შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვას.

ენერგეტიკის რეფორმის თავისებურებების გაზიარების მიზნით, სენბი აქტიურად თანამშრომლობს აკადემიურ-სამეცნიერო წრესთან, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

მედია კომუნიკაცია

საჯარო კომუნიკაციის მეტი ეფექტიანობისთვის, საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟამ დაარეგისტრირა ოფიციალური Facebook, LinkedIn YouTube და Twitter სოციალური გვერდები, სადაც გამომწერებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ როგორც საქართველოს ენერგეტიკულ რეფორმასთან და ბირჟასთან დაკავშირებულ სიახლეებს, ასევე ენერგეტიკული ბაზრის სეგმენტების დანერგვის შესახებ მიმდინარე აქტუალურ საკითხებს.

გაშვებულია ბირჟის ოფიციალური ვებ-გვერდი: www.genex.ge

განხორციელდა ბრენდინგი: შეიქმნა ბირჟის ლოგო, სლოგანი და შემუშავდა კომუნიკაციის სტრატეგია.

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, კომუნიკაციის სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა პლატფორმის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში.

სამომავლო გეგმა

- დღით ადრე ბაზრის სატესტო ვაჭრობის სესიების გამართვა
- ანგარიშსწორების სისტემის მოწყობა
- მონაწილეთა წარმომადგენლების სერტიფიცირება
- მონაწილეების რეგისტრაცია
- ეფექტური ბაზრის ზედამხედველობისა და გამჭვირვალობის სისტემის დანერგვა
- დღით ადრე ბაზრის გაშვება
- ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის სიმულაცია
- ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზრის გაშვება
- თანამშრომლობა მეზობელ და სხვა ქვეყნებთან საქართველოსთვის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობების განხილვის მიზნით
- დღიური ბაზრის სიმულაცია
- დღიური ბაზრის გაშვება
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, მათ შორის პარტნიორ ქვეყნებთან, ბირჟებთან, ორგანიზაციებთან, პროგრამებთან და პროექტებთან
- მონაწილეების შესაძლებლობების გაძლიერება - ნორდ პულ აკადემიასთან ექსკლუზიური პირობებით თანამშრომლობა
- მედია კამპანიის გაგრძელება, ენერგეტიკის სექტორზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით
- სენბის გუნდისა და მისი შესაძლებლობების გაძლიერება

ვქმნით შესაძლებლობებს

საქართველო, ქ. თბილისი, კ. ხეთაგუროვის #36
+995 32 2 054588
mail@genex.ge